სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080147297605820

№ 4366

30 / ოქტომბერი /
2020 წ.

შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2020 წლის 28 ოქტომბერს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP200004414 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს 50 ცალი სოლუ-მედროლის (1000 მგ)- (CPV - 33600000 - ფარმაცევტული პროდუქტები) შესყიდვას.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) ინფიცირებული (COVID-19) პაციენტების სამართავად, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“, არსებული ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე იყენებს ქ. ბათუმში, პუშკინის ქუჩა № 164 /ტბ. აბუსერიძის ქუჩა № 2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:05.27.09.011) განთავსებულ ახლადაშენებულ შენობას, სადაც განთავსებულია ცხელების ცენტრი და COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების სამკურნალო განყოფილება. დღეის მდგომარეობით, მკვეთრად გაიზარდა COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების რაოდენობა, აღნიშნული ტენდენცია არ კლებულობს და დღითიდღე მატულობს პაციენტთა მომართვიანობა. ასევე, საავადმყოფოში ინტენსიურად მუშაობს ე.წ. ცხელების ცენტრი და სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან რეგულარულად მოდიან სატვირთო ავტომანქანის მძღოლები COVID-19-ზე გამოკვლევების ჩატარების მიზნით. მიმდინარე ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე საავადმყოფოს კრიტიკული დეპარტამენტის განყოფილებას სასწრაფოდ ესაჭიროება მედიკამენტი სოლუ-მედროლი (1000 მგ), რომლის მარაგი ამოწურულია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ საფრთხე არ შეექმნას როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ასევე პაციენტების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, აუცილებელია შეზღუდულ ვადებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელდეს 50 ცალი სოლუ-მედროლის (1000 მგ) შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც წარმოდგენილი მომართვიდან ირკვევა, ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) ინფიცირებული (COVID-19) პაციენტების სამართავად, შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო“, არსებული ლიცენზიის/ნებართვის საფუძველზე იყენებს ქ. ბათუმში, პუშკინის ქუჩა №164 /ტბ. აბუსერიძის ქუჩა №2-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:05.27.09.011) განთავსებულ ახლადაშენებულ შენობას, სადაც განთავსებულია ცხელების ცენტრი და COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების სამკურნალო განყოფილება. დღეის მდგომარეობით, მკვეთრად გაიზარდა COVID-19-ით ინფიცირებული პაციენტების რაოდენობა, აღნიშნული ტენდენცია არ კლებულობს და დღითიდღე მატულობს პაციენტთა მომართვიანობა. ასევე, საავადმყოფოში ინტენსიურად მუშაობს ე.წ. ცხელების ცენტრი და სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტიდან რეგულარულად მოდიან სატვირთო ავტომანქანის მძღოლები COVID-19-ზე გამოკვლევების ჩატარების მიზნით. მიმდინარე ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე საავადმყოფოს კრიტიკული დეპარტამენტის განყოფილებას სასწრაფოდ ესაჭიროება მედიკამენტი სოლუ-მედროლი (1000 მგ), რომლის მარაგი ამოწურულია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იმისთვის რომ საფრთხე არ შეექმნას როგორც ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ასევე პაციენტების სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ 50 ცალი სოლუ-მედროლის (1000 მგ) შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს შპს „ქ. ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს“ SMP200004414 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე